

# ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

„ახალი თაობის ხედვა“



COUNCIL OF EUROPE



CONSEIL DE L'EUROPE

# ურთიერთანამშრომლობის

## მემორანდუმი

№

სექტემბერი, 2015წ.

ერთის მხრივ „ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო“ წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორის ნინო თვალთვაძის სახით, და მეორეს მხრივ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი წარმოდგენილი რექტორის-თეონა ხუფენია.

❖ ხელს უწყობენ რა ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდა თაობის განვითარებას, მათ ჩართვას საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებასა და საარჩევნო პროცესებში.

❖ აცნობიერებენ რა რომ საჭიროა, საარჩევნო თემატიკის პოპულარიზაცია ახალგაზრდებს შორის.

თანხმდებიან და პროექტ „ახალი თაობის ხედვა“ ფარგლებში აფორმებენ

წინამდებარე მემორანდუმს შემდეგზე :

1.ითანამშრომლონ ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო-ს პროექტი „ახალი თაობის ხედვა“ ფარგლებში რომელიც ხორციელდება ევრო საბჭოს ფინანსური მხარდაჭერით და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან და ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან პარტნიორობით.

2. აწარმოონ კოორდინირებული ურთიერთანამშრომლობა პროექტის ფარგლებში, რომლის მიზანია ახალგაზრდა თაობის გააქტიურება ადგილობრივ დონეზე, მათი ჩართვა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებასა და საარჩევნო პროცესებში.

3 ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს მზაობას ხელი შეუწყოს საინიციატივო ჯგუფის ფუნქციონირებას და ჩაერთოს მის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში/აქტივობებში. კერძოდ ხელი შეუწყოს სამი საჯარო დისკუსიის ჩატარებას უნივერსიტეტის სივრცეში, 2015 წლის ბოლომდე. შესაბამისად საჭიროების შემთხვევაში გამოყოს უნივერსიტეტის დარბაზი ზემოხსენებული აქტივობების განსახორციელებლად.

4. პროექტის ფარგლებში საინიციატივო ჯგუფის გოგონები, თავად დაგეგმავენ და ჩატარებენ საჯარო დისკუსიებს არჩევნებთან დაკავშირებულ საკითხებზე, იმ ცოდნის საფუძველზე რაც მათ მიიღეს პროექტით „საარჩევნო განვითარების სკოლა 2015“ და „ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო“-ს მიერ ჩატარებული ტრენინგების შედეგად.

5. მემორანდუმის მიზნების მოსაღწევად მხარეები ადასტურებენ, რომ ერთობლივ აქტივობებში მათი ჩართულობა იქნება უზრუნველყოფილი, საქმიანობას განახორციელებენ ურთიერთანამშრომლობის პრინციპით და განხორციელებისას

იხელმძღვანელებენ საქართველოს კანონმდებლობითა და პროექტის მიზნებით. გამოიყენებენ მათ ხელთ არსებულ ყველა ტექნიკურ და მატერიალურ რესურსს ამოცანების განსახორციელებლად.


6.მემორანდუმის მონაწილე მხარეები აცხადებენ მზაობას, ითანამშრომლონ როგორც მოცემული პროექტის ფარგლებში ასევე დაგეგმონ და განახორციელონ სხვა ერთობლივი აქტივობებიც.

7.წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია ორ ეგზემპლარად, გამოხატავს მონაწილე მხარეთა ნებას, რასაც ადასტურებენ ხელმწიორებითა და ბეჭდით.

ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო

აღმასრულებელი დირექტორი

ნინო თვალთვაძე



შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო

სასწავლო უნივერსიტეტი

რექტორი თეონა ხუფენია

